1968/3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 10 (333)

1968 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (333) ოქტომბერი 1968 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების საწარმოო-საგზაო უბნების შექმნის შესახებ.

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. ვარაზაშვილის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. დოლიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

140. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ლ. ნადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

141. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ლ. კიკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

142. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

### განყოფილება მეორე

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ვ. მოკრინსკისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

146. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ა. გორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. კლდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. სვინტრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. ბარნოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. პეტრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. უნჯიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. დემენტიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. თ. ზაქარიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ზ. თოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ლებანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ე. შარტავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მურუსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საინფორმაციო ცნობა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 137 მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების საწარმოო-საგზაო უბნების შექმნის შესახებ

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და შეკეთების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების საწარმოო-საგზაო უბნები.

2. გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებები.

3. აღნიშნული ბრძანებულება შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 14 ოქტომბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 138 ამხ. ვ. ნ. ვარაზაშვილის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვარაზაშვილი საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 24 ოქტომბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 139 ამხ. შ. ა. დოლიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. შოთა ანდრიას ძე დოლიძე საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 24 ოქტომბერი.

ეროვნული

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 140 ამხ. გ. ლ. ნადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი ლევანის ძე ნადაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 141 ამხ. ვ. ლ. კიკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაშვებულ იქნეს ამხ. ვაჟა ლევანის ძე კიკაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 142 რესპუბლიკაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება რესპუბლიკაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა სამედიცინო მომსახურება, შემცირდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, თითქმის მთლიანადაა ლიკვიდირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დიფტერია და პოლიომიელიტი, დიდად შემცირდა სხვა ინფექციური დაავადებანი; ერთგვარად გაუმჯობესდა სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალური ბაზა.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რიგ რაიონებში დიდია ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, ნაკლოვანებებია მათი ჰოსპიტალიზაციის საქმეში, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ბავშვთა პოლიკლინიკები.

ზოგიერთი რაიონის ბავშვთა დაწესებულებები მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვთა დაწესებულებების კვების პროდუქტებით — ბოსტნეულით, ხილით, კვერცხით, ხორცით მომარაგების საქმეს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში არ არის მოწყობილი სარძეო სამზარეულოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები და ისინი განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 ოქტომბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 143 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ზინაიდა სევერიანეს ასული **მგელაძე** — ქ. ფოთის ქალაქის პირველი საავადმყოფოს მედიცინის და.

2. ვალერიან ნიკოლოზის ძე **ძაძამია** — ქ. ფოთის მეორე პროფესიონალური სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 144 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის:**

1. თამარ ნესტორის ასულ **აბაშიძეს** — ზესტაფონის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
2. ასტხიკ მანუკის ასულ **აგაბაბიანს** — პენსიონერს.
3. ილია ბესარიონის ძე **ადეიშვილს** — თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის მასწავლებელს.
4. ისაკ კარპის ძე **ავაქიანს** — ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატის უფროს აღმზრდელს.
5. კირიაკ პავლეს ძე **ანანიკოვს** — პენსიონერს.
6. ქენია ნესტორის ასულ **ანდღულაძეს** — ქობულეთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
7. ლუარსაბ კონსტანტინეს ძე **ანთაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
8. მარიამ იოსების ასულ **ანტონოვას** — ახმეტის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.
9. პლატონ კონსტანტინეს ძე **არველაძეს** — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.
10. სერგო არკადის ძე **არუთინოვს** — თბილისის 21-ე მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.
11. ჩოჩა ტაგოს ასულ **აშუბას** — ოჩამჩირის რაიონის ღვადის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
12. ეთერ არჩილის ასულ **ბაგრატიონს** — ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
13. ევდოკია პავლეს ასულ **ბარსკაიას** — სოხუმის № 11 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.
14. იური ზაქარიას ძე **ბარსუკოვს** — თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
15. ალექსანდრე ბეგლარის ძე **ბაწელაშვილს** — თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის მასწავლებელს.
16. ანა არამის ასულ **ბეჟანიშვილს** — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
17. დავით ესტატეს ძე **ბლიაძეს** — ბორჯომის რაიონის ახალდაბის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. იულია ალექსანდრეს ასულ **ბოჟკოს** — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

19. ბორის ერმალოს ძე **ბოხუას** — ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

20. ნატალია გიორგის ასულ **გალდავა-კირიაკოვას** — თბილისის 74-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

21. მარიამ არქიფოს ასულ **გამსახურდიას** — ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

22. იდა სერგოს ასულ **გარიბოვას** — თბილისის V მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

23. მიხეილ აქვსენტის ძე **გეგენავას** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განყოფილების ინსპექტორს.

24. ანტონ ზებურის ძე **გვარიშვილს** — ქედის რაიონის ნამლისევის დაწყებითი სკოლის გამგეს.

25. ეკატერინე ანტონის ასულ **გვილიას** — ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

26. ალექსანდრა ასალოს ასულ **გოგეშვილს** — თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

27. ქსენია აბესალომის ასულ **გოგიბერიძეს** — თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.

28. ილია ვარდენის ძე **გოგოძეს** — სამტრედიის რკინიგზის № 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

29. ელენე იოსების ასულ **გოდერძიშვილს** — საგარეჯოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

30. ქსენია დანიელის ასულ **გოჩაკოვას** — თბილისის IX მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

31. შოთა ალმასხანის ძე **გუგუშვილს** — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

32. აკაკი ნიკოლოზის ძე **გულუას** — გალის რაიონის საბერიოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

33. ელენე პეტრეს ასულ **გუნცაძეს** — პენსიონერს.

34. ნიკოლოზ პეტრეს ძე **დადიანს** — თბილისის IV მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

35. მარიამ ნესტორის ასულ **დაშნიანს** — თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელს.

36. ელენე ვასილის ასულ **დვალს** — თბილისის I მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

37. ქეთევან მიხეილის ასულ **დარახველიძეს** — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

38. მარიამ იესეს ასულ **დოლიძეს** — პენსიონერს.

39. ქეთევან ვლადიმერის ასულ **დუღაშვილს** — თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

40. მიხეილ ალმასხანის ძე **ენდელაძეს** — მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

41. მარინე სერგოს ასულ **ვეშაპიძეს** — საჩხერის რაიონის მერჯევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

42. მარიამ ნიკოლოზის ასულ **ზაალიშვილს** — თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მასწავლებელს.

43. აბრამ ლონგინოზის ძე **ზაზაძეს** — ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

44. ანტონინა ვასილის ასულ **ზიზდოს** — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

45. მარიამ გიორგის ასულ **ზუმბაძეს** — დუშეთის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

46. კლეოპატრა ანესტის ასულ **თავზარაშვილს** — გორის № 2 საბავშვო ბაღის გამგეს

47. თინა ილიას ასულ **თევზაძეს** — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

48. გიორგი პოლიკარპეს ძე **თოდუას** — გულრიფშის რაიონის დრანდის სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

49. სონია თემსირის ასულ **თოთროვას** — ჯავის რაიონის ერმანის დაწყებითი სკოლის გამგეს.

50. თამარ პორფილეს ასულ **თოფურიას** — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

51. ლეონტი დანიელის ძე **ივანოვს** — თბილისის XII მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

52. ვალერიან ყირიმის ძე **იოსავას** — ხობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

53. გრიგოლ სტეფანეს ძე **კალაიჯიშვილს** — ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

54. ვსევოლოდ იასონის ძე **კაპანაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

55. ნათელა იოსების ასულ **კენჭიაშვილს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

56. ვახტანგ შეიდალის ძე **კეჟერაძეს** — შუახევის რაიონის ცინარეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

57. როზა პავლეს ასულ **კიბიზოვას** — ზნაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

58. თამარ იოსების ასულ **კიკნაძეს** — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

59. გიორგი ილიას ძე **კოზაევს** — ცხინვალის სპეც-პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

60. შალვა გრიგოლის ძე **კოლიაშვილს** — თბილისის VII მუსიკალური სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

61. ბარნაბ იპოლიტეს ძე **კუპრაძეს** — ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგეს.

62. ლავრენტი სევერიონის ძე **ლაითაძეს** — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს.

63. გიორგი ვალერიანის ძე **ლეჟავას** — ჭიათურის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

64. ევტიხი ბარნაბის ძე **ლეჟავას** — სამტრედიის რაიონის კულაშის ზოოვეტტექნიკუმის მასწავლებელს.

65. თინა ნოშრევანის ასულ **ლეჟავას** — ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

66. ილია ივანეს ძე **ლეჟავას** — თბილისის მე-100 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

67. ეკატერინე ანდრიას ასულ **ლომაიას** — თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

68. აგნესა კირილეს ასულ **ლომაძეს** — ქუთაისის მეცხრამეტე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

69. ვალენტინა ალექსანდრეს ასულ **ლომინეიშვილს** — ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

70. ნიარა არკადის ასულ **მალხაზს** — თბილისის მე-4 სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელს.

71. თელი მამედ ყზი **მამედოვას** — ბოლნისის რაიონის ფახრალოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

72. ელენე სამედის ასულ **მანსუროვას** — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

73. ვაროს მანუკის ძე **მანუკიანს** — ახალქალაქის № 1 სომხური საშუალო სკოლის მასწავლებელს.

74. ტატიანა ვლადიმერის ასულ **მარგალიტაძეს** — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

75. სერგო ტარასის ძე **მაღლაკელიძეს** — ვანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

76. სერგო ჯაბულოს ძე **მეგრელიშვილს** — პენსიონერს.

77. სიმონ პეტრეს ძე **მერაბიშვილს** — ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

78. ნიკიტა კარპეს ძე **მიახნიკოვს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური სპეციალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

79. ანასტასია ონისიმეს ასულ **მინდელს** — ონის რაიონის სორის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

80. დიმიტრი ბართლომეს ძე **მიქაძეს** — სამტრედიის რაიონის ღანირის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

81. სოფიო ვასილის ასულ **მიხაილიდის** — პენსიონერს.

82. ნოე არსენის ძე **მოდებაძეს** — თბილისის სავაჭრო კულინარული სასწავლებლის ინსპექტორ-მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83. ნინო ივანეს ასულ **მურჯიკნელს** — გორის რაიონის გარდატენის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

84. ჩობან ბაირამ ოღლი **მუსაევს** — მარნეულის რაიონის ალამედლის საშუალო სკოლის დირექტორს.

85. ეთერ ზაქარიას ასულ **ნანობაშვილს** — პენსიონერს.

86. ვენერა ტრიფონის ასულ **ნოდიას** — თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

87. ლიდა იოსების ასულ **ნორაკიძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განათლების სამმართველოს უფროს ინსპექტორს.

88. დადაშ ილიას ძე **ონიანს** — ლენტეხის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს.

89. ვასილ იონათამის ძე **პარკაძეს** — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

90. მიხეილ ლევანის ძე **პერტენავას** — აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორს.

91. ლუბა გრიგოლის ასულ **ჟვანიას** — თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის მასწავლებელს.

92. პანტელეიმონ ვასილის ძე **ჟორჟოლიანს** — თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

93. ქსენია ვასილის ასულ **რობაქიძეს** — თერჯოლის რაიონის ჩხარის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

94. ვარლამ ძუკუს ძე **როდონაიას** — ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

95. ლიდა ნიკოლოზის ასულ **როსტიაშვილს** — მცხეთის რაიონის ძეგვის საშუალო სკოლის დირექტორს.

96. ალექსანდრე სამსონის ძე **რუხაძეს** — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

97. ელენე ნიკოლოზის ასულ **სანაკოევას** — ცხინვალის სპორტული სკოლის მასწავლებელს.

98. მარგარიტა ივანეს ასულ **სარალიძეს** — ბორჯომის რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის დირექტორს.

99. თამარ საბას ასულ **სეხნიაშვილს** — ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

100. მიხეილ მელიტონის ძე **სვანიძეს** — თბილისის 87-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

101. აკაკი შალვას ძე **სიხარულიძეს** — თბილისის კიროვის სახელობის რაიონული სპორტული სკოლის დირექტორს.

102. გიორგი მაკარის ძე **ტაბატაძეს** — ხაშურის რკინიგზის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

103. ანა გიორგის ასულ **ტურაშვილს** — ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

104. ალექსი ლუკას ძე **ტულუშს** — პენსიონერს.

105. შურა რაჟდენის ასულ **ტყეშელაშვილს** — ქუთაისის რკინიგზის № 12 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

106. სიმონ თომას ძე **ფაჩულიას** — თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის მასწავლებელს.

107. დიონისე სტეფანეს ძე **ფირცხალავას** — ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

108. სერგო იოსების ძე **ფხაკაძეს** — ზესტაფონის რკინიგზის № 7 საშუალო სკოლის დირექტორს.

109. ვასილ ბურნაყის ძე **ქალდანს** — მესტიის რაიონის ნაკის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

110. კანალია ბარნაბის ძე **ქარჩავას** — ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლის დირექტორს.

111. სოფიო ილიას ასულ **ქაფიაშვილს** — ლენინგორის რაიონის კორინთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

112. თამარ თადეოზის ასულ **ქემოკლიძეს** — ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

113. სიდო შიოს ასულ **ღუდუშაურს** — თეთრიწყაროს რაიონის კოდის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

114. ივანე ესეს ძე **ყარეგიშვილს** — ბათუმის რაიონის აჭარის ილმართის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

115. პოდისტ კონდრატის ძე **ყურაშვილს** — აბაშის რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.

116. ვარლამ მაქსიმეს ძე **შანავას** — ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

117. ზაქარია რომანის ძე **შარიქაძეს** — რკინიგზის ხარაგოულის № 10 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

118. ილია იაკობის ძე **შენგელიას** — თბილისის 114-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

119. სიმონ პავლეს ძე **შენგელიას** — გარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმის მასწავლებელს.

120. კიამინ ხიგოს ძე **შერშერიას** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დირექტორს.

121. დარეჯან დავითის ასულ **შველიძეს** — ზესტაფონის რაიონის შროშის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

122. რუსუდან იაკობის ასულ **შიშნიაშვილს** — გურჯაანის რაიონის ჯიმითის საშუალო სკოლის დირექტორს.

123. ალექსანდრე ილიას ძე **შუანდერს** — პენსიონერს.

124. არჩილ ესტატეს ძე **ჩაჩიბაიას** — პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

125. იდრის ახმედის ძე **ჩერპანოვს** — დმანისის რაიონის ირგანჩაის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

126. ელენე ევსევის ასულ **ჩიხლაძეს** — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის მასწავლებელს.

127. ნადია ირაკლის ასულ **ჩუბინიძეს** — ორჯონიკიძის რაიონის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

128. ნატალია ალექსის ასულ **ცქარეულს** — ყაზბეგის რაიონის ყანობის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

129. აკაკი ერმილეს ძე **ჩხიკვაძეს** — თბილისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს.

130. ვარდენ ვასილის ძე **ციცქიშვილს** — რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

131. ალექსი იაკობის ძე **ცხადაიას** — წალენჯიხის რაიონის ჯვარის მუშაახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.

132. ელენე გრიგოლის ასულ **ცხადაძეს** — რკინიგზის საგარეჯოს № 19 რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

133. ნინო მაკარის ასულ **ძიძავას** — გუდაუთის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

134. ლეონტი ილარიონის ძე **ჭანტურიას** — გაგრის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

135. ნათელა ევგენის ასულ **ჭანტურიძეს** — ტყიბულის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

136. ვასილ თომას ძე **ჭანიშვილს** — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

137. ელენე მაქსიმეს ასულ **ჭანტურაიას** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ინსპექტორს.

138. ქეთევან რაჟდენის ასულ **ჭანტურაიას** — რკინიგზის თბილისის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

139. ავთანდილ ვლადიმერის ძე **ჭეიშვილს** — წყალტუბოს რაიონის ქვიტირის საშუალო სკოლის დირექტორს.

140. მარიამ ყარამანის ასულ **ჭელიძეს** — გარდაბნის რაიონის ტაბახმელის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

141. ნიკოლოზ გიორგის ძე **ჭელიძეს** — გარდაბნის რაიონის მარტყოფის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

142. მარიამ იოსების ასულ **ჭყონიას** — პენსიონერს.

143. მარგარიტა ვლადიმერის ასულ **ხემერს** — ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

144. სერგო სამსონის ძე **ჯაიანს** — რკინიგზის ცხაკაიას № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგეს.

145. თამარ სამსონის ასულ **ჯანელიძეს** — თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

146. ვარლამ კონსტანტინეს ძე **ჯანჯღავას** — გეგეჭკორის საბავშვო სახლის დირექტორს.

147. ქეთევან იოსების ასულ **ჯაშიაშვილს** — თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

148. ალექსი ლუკას ძე **ჯაფარიძეს** — ამბროლაურის რაიონის ურავის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

149. თამარ არჩილის ასულ **ჯაფარიძეს** — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

150. თამარ დავითის ასულ **ჯაფარიძეს** — ქარელის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

151. რომან ვასილის ძე **ჯაფიაშვილს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტს.

152. ვასილ მალაქიას ძე **ჯინორიას** — თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მასწავლებელს.

153. ვერა კონსტანტინეს ასულ **ჯიოევას** — ცხინვალის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

154. ნატალია ნესტორის ასულ **ჯიოევას** — ლენინგორის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

155. გიორგი მიხეილის ძე **ჯიქურიშვილს** — ხაშურის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

156. მემედ ილიას ძე **ჯორბენაძეს** — ხულოს რაიონის სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

157. ქეთევან იოსების ასულ **ჯორჯოშვილს** — წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის:**

1. ტატიანა არჩილის ასულ **ავალიანს** — თბილისის № 5 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

2. გიორგი ივანეს ძე **ბახილიძეს** — გორის რაიონის ხიდისთავის № 15 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

3. ვლადიმერ მიხეილის ძე **ზარნაძეს** — ქუთაისის № 4 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

4. ანდრო პავლეს ძე **კვალიძეს** — თბილისის № 5 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის აღმზრდელს.

5. დიმიტრი ვასილის ძე **კევლიშვილს** — თბილისის № 5 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს.

6. დავით ესტატეს ძე **კოპალეიშვილს** — ქუთაისის № 4 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

7. გაიოზ ირაკლის ძე **მაჩიტიძეს** — ქუთაისის № 33 ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

8. ანა სიმონის ასულ **ჯიოევას** — ცხინვალის № 48 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

**საქართველოს სსრ პროფ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის:**

1. ვასილ რომანოზის ძე **იმნაძეს** — თბილისის № 18 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.
2. ირაკლი სამსონის ძე **ოისელიანს** — ტყიბულის № 19 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.
3. ვასილ ეფემის ძე **მიშინს** — თბილისის № 5 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.
4. გრიგოლ ლუარსაბის ძე **საყვარელიძეს** — თბილისის № 6 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.
5. დავით სერგოს ძე **სოფრომაძეს** — ტყიბულის № 19 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.
6. დიმიტრი სევერიანეს ძე **ტაბიძეს** — წულუკიძის № 8 პროფ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 3 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 145 პროფესორ ვ. ვ. მოკრინსკისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს შესწავლისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის, აგრეთვე ქვანახშირის ძიების სპეციალისტ გეოლოგთა მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, პროფესორ ვლადიმერ ვლადიმერის ძე **მოკრინსკის** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 23 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 146 ამხ. გ. ს. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვების მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „საქმინხილწყლების" ტრესტის მმართველი ამხ. გიორგი სილიბისტროს ძე ბაქრაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 147 ამხ. კ. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. კარლო არტემის ძე გიორგაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 148 ამხ. მ. დ. კლდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამხ. მირიან დავითის ძე კლდიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ოქტომბერი.

№ 10 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 149 ამხ. კ. ნ. სვინტრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონსტანტინე ნესტორის ძე სვინტრაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 150 ამხ. ა. ი. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ინგირის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ამხ. არტემ იაკობის ძე შონია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 151 ამხ. ნ. ვ. ბარნოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების უფროსი ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე ბარნოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 152 ამხ. მ. ნ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ აბაშის რაიონული განყოფილების მმართველი ამხ. მამია ნესტორის ძე ბოკერია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვავაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 153 ამხ. ვ. ა. პეტრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ვახტანგ ანდრიას ძე პეტრიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვავაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 154 ამხ. ვ. ვ. უნგიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვახტანგ ვასილის ძე უნგიაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვავაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 155 ამხ. ა. ვ. დემენტიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დმანისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალექსი ვასილის ძე დემენტიევი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 18 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 156 ამხ. ვ. თ. ზაქარიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამხ. ვლადიმერ თედორეს ძე ზაქარიაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 18 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 157 ამხ. ვ. ზ. თოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. ვახტანგ ზაქარიას ძე თოხაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 18 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 158 ამხ. ვ. გ. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი ამხ. ვახტანგ გიორგის ძე ნიჟარაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 18 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 159 ამხ. გ. ი. ლებანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. გიორგი ივანეს ძე ლებანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 160 ამხ. შ. ე. შარტავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შოთა ელიზბარის ძე შარტავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 161 ამხ. ვ. ი. მურუსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი გენერალ-მაიორი ვახტანგ იასონის ძე მურუსიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 23 ოქტომბერი.

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს განიხილა საკითხი გარდაბნისა და წალკის რაიონებში „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1967 წლის შედეგების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 29 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ გარდაბნისა და წალკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა სამეურნეო თუ სოციალურ-კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებს.

გაუმჯობესდა საბჭოების დეპუტატთა და მუდმივი კომისიების მუშაობა. წალკის სადაბო საბჭოს დეპუტატების თაოსნობით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით დაბა წალკაში გაშენდა ახალი პარკი, ლენინისა და ორჯონიკიძის ქუჩებში გაკეთდა ელექტროგაყვანილობა, დაბა თრიალეთში აიგო ხიდი, მთელ რიგ სოფლებში გაფართოვდა ქუჩები.

რიგი ღონისძიებები განხორციელდა გარდაბნის რაიონშიც. სოფელ სართიჭალაში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი, მოიხრეშა 300 გრძივი მეტრი გზა; რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები პერიოდულად იხილავენ კეთილმოწყობის, სანიტარული მდგომარეობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხებს.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გარდაბნისა და წალკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 29 იანვრის დადგენილების განხორციელების საქმეში გაანხიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

მათ არ გაუუმჯობესებიათ დაქვემდებარებული საბჭოების აღმასკომთა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა. სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებთან, აღმასკომების თავმჯდომარეებთან და მდივნებთან არ ჩაუტარებიათ საინსტრუქტაჟო თათბირები მათი უფლება-მოვალეობის საკითხებზე.

რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას არ უწევენ დეპუტატებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაციაში. ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი არ აწარმოებს დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას.

შემოწმებულ რაიონებში დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოს აქტივი სუსტად მონაწილეობენ სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში. ზოგიერთი მუდმივი კომისია კარგად ვერ ერკვევა თავის მოვალეობებში, სრულყოფილად არ იყენებს მინიჭებულ უფლებებს. მოუგვარებელია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

გარდაბნისა და წალკის რაიონების საბჭოების აღმასკომები ინფორმაციას არ უკეთებენ დეპუტატებს სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის, დეპუტატების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო მიღებული ზომების შესახებ. დეპუტატებს წინასწარ არ აცნობენ სესიის დღის წესრიგს, სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მიღებულ გადაწყვეტილებათა მოსახლეობისათვის დროულად გაცნობის საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა გარდაბნისა და წალკის რაიონული საბჭოების აღმასკომებს, უახლოეს დროში განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად და გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1969 წლის 1 ივლისისათვის

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა. მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **თ. მოსაშვილის** მოხსენება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 8 თვის მშენებლობის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია მშენებლობის გეგმების შესრულების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამასთანავე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სამინისტრომ მიმდინარე წლის 8 თვეში ვერ შეასრულა საიჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმები.

ზოგ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერება. შესამჩნევია სამშენებლო სამუშაოთა მნიშვნელოვანი გაძვირება გეგმასთან შედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით. დაბალია სამშენებლო მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი. ნაკლოვანებებია სამშენებლო მასალების მომარაგებაში. სათანადოდ არ არის ორგანიზებული ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენება.

სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს ზოგიერთი მასალის წარმოების 8 თვის გეგმა.

ნაკლოვანებებია შრომის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაში. დაბალია რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დონე.

საკითხის განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა: **ვ. შენგელიამ**, **ა. აკოფოვამ**, **ლ. ჯანაშვილმა**, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ **ი. ხარატიშვილმა** და სხვებმა.

კომისიამ შეიმუშავა და საჭირო რეკომენდაციები გაუგზავნა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ს. რიგვავას** მოხსენება აჭარის ასსრ სახელმწიფო, ქუთაისისა და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების მუშაობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ მუზეუმებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა.

მუზეუმები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პარტიის 23-ე ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ისტორიული, ტექნიკური და ესთეტიკური ცოდნის პროპაგანდას, ექსპოზიციები უფრო სრულყოფილად ასახავენ საბჭოთა საზოგადოების განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საკითხებს.

ამჟამად მუზეუმებში გაშლილია მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა **შ. გაგოშიძემ**, **რ. ლაღიძემ**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ო. თაქთაქიშვილმა**, მინისტრის მოადგილემ **ვ. იაქაშვილმა**, კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის მოადგილემ **პ. კიკნაძემ**, ქუთაისისა და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების დირექტორებმა **გ. ნიკოლეიშვილმა** და **ჯ. ჯიჯიეშვილმა**, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის სწავლულმა მდივანმა **ნ. ბეჟანიძემ**.

მუზეუმების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კომისიამ სათანადო რეკომენდაციები მისცა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და მუზეუმების დირექტორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. გელაშვილის ინფორმაცია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის, სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესებისა, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე ბრძანებულებათა პროექტების შესახებ.

კომისიამ ამ საკითხების გამო მიღებული რეკომენდაციები განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საკითხების განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: **ზ. რატიანმა, ბ. ჟღენტმა, მ. ბიბილაშვილმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ **მ. ლომიძემ,** საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ **გ. ბიწაძემ,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ქაჯაიამ,** საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ **გ. თოდრიამ** და სხვებმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ხვედელიანის** მოხსენება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა პროდუქციის ხარისხის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმები, გააუმჯობესეს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, აამაღლეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და შეამცირეს მისი თვითღირებულება.

ბევრ საწარმოში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, რაც დიდად უწყობს ხელს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას. თითქმის ყველა საწარმოში რეგულარულად იმართება „ხარისხის დღე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რიგ საწარმოებში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისმა“ და მოდელური ფეხსაცმელების ფაბრიკამ, გორის ბამბეულის კომბინატმა და სხვა საწარმოებმა ვერ შეასრულეს გასული და მიმდინარე წლის 8 თვის საერთო პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმები, აგრეთვე პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და ასორტიმენტის გეგმები.

რიგ საწარმოებში ადგილი აქვს პროდუქციის ხარისხის ხელოვნურად ამაღლებას, ძირითადი და დამხმარე მასალების არარიტმულ მიწოდებას.

ზოგიერთ საწარმოში ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

საკითხის განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: **ს. შარაძენიძემ, ვ. ლოლობერიძემ, ა. ვარდოშვილმა,** მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ე. დუდჩენკომ.**

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის, დეპუტატ **პ. გელბახიანის** მოხსენება რესპუბლიკაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: **დ. დურგლიშვილმა, ს. მარიდაშვილმა, ნ. მელანაშვილმა, დ. ჯიჯელავამ,** ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ **დ. ქავთარაძემ,** ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა **ლ. ირემაძემ** და სხვ.

კომისიამ საკითხი განსახილველად წარუდგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. **ო. შუკაკიძის** მოხსენება რესპუბლიკაში ახალი გზების მშენებლობის, არსებული გზების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების 1968 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ გადაჭარბებით შესრულდა საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მშენებლობა — რეკონსტრუქციის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური შეკეთების გეგმები. კარგი მაჩვენებლებია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურად შეკეთებისა და მშენებლობის საქმეში.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ არ სრულდება კაპიტალური დაბანდების წლიური გეგმა. ნაკლოვანებებია ადგილობრივი ძალებით ხიდების კაპიტალურად შეკეთების საქმეში.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა **ნ. ლაკიამ, ვ. ნიჟარაძემ, ზ. ბუცხრიკიძემ, ნ. ბერიძემ,** საგარეჯოს, ბოლნისისა და ლენტეხის რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა — **ა. დავითაშვილმა, ა. ალიევმა, ნ. ჯამბერიძემ,** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ი. მოსტოვოიმ,** კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების დირექტორებმა **ვ. პაპიაშვილმა, ნ. ჭიპაშვილმა,** ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. კაპანაძემ** და სხვებმა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **დ. აბუთიძემ.**

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 731 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 22 |
| „ გორიდან | | 3 |
| „ რუსთავიდან | | 9 |
| „ ტყიბულიდან | | 2 |
| „ ფოთიდან | | 7 |
| „ ქუთაისიდან | | 8 |
| ადიგენის | რაიონიდან | 15 |
| ასპინძის | „ | 7 |
| ახალციხის | „ | 7 |
| ახმეტის | „ | 22 |
| ბოგდანოვკის | „ | 11 |
| ბოლნისის | „ | 70 |
| გურჯაანის | „ | 4 |
| დმანისის | „ | 204 |
| თელავის | „ | 6 |
| ზესტაფონის | „ | 5 |
| ზუგდიდის | „ | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| მარნეულის | რაიონიდან | 265 |
| მესტიის | " | 8 |
| მცხეთის | " | 2 |
| ცხაკაიის | " | 8 |
| ხაშურის | " | 8 |
| ხობის | " | 9 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 16 |

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

**ცაგერის რაიონში** — ცაგერის რაიონის ცენტრი და დაბა ცაგერი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ცაგერის სადაბო საბჭო — ცაგერის საქალაქო საბჭოდ.

**მესტიის რაიონში** — გაუქმდა მესტიის სასოფლო საბჭოს სოფლები: ლანჩვალი, ლალამი, ლეხთაგი, სპარდიში და კახშიანი სოფელ მესტიასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

მესტიის რაიონის ცენტრი სოფელი მესტია გარდაიქმნა დაბად, ხოლო მესტიის სასოფლო საბჭო — სადაბო საბჭოდ.

**ონის რაიონში** — გაუქმდა ონის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები: ღარი, წმენდაური და წოლა ქალაქ ონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

ონის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა ქალაქ ონიდან სოფელ შეუბანში და ეწოდა მას შეუბნის სასოფლო საბჭო.

**ქარელის რაიონში** — ქვენატკოცის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ქვენატკოციდან გადატანილ იქნა სოფელ ფცაში და ეწოდა მას ფცის სასოფლო საბჭო.

სოფელი ქვენატკოცა გამოეყო ფცის სასოფლო საბჭოს და დაექვემდებარა აგარის სადაბო საბჭოს.

მოხისის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: აბუხალო და ტყემლოვანი და მიეკუთვნა გვერძინეთის სასოფლო საბჭოს.

**ქ. ჭიათურაში** — გაუქმდა მანდაეთის სასოფლო საბჭოს სოფელი კოკასწყალი მოსახლეობის სხვა ადგილზე დასახლების გამო.

**საჩხერის რაიონში** — საირხის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: წითელსოფელი და მერჯევი და შეიქმნა მერჯევის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მერჯევში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამტრედიის რაიონში** — კულაშის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფლები: ინუაკუთხე, ხუნჯულოური, კვირიკე, ჩხენიში, ნაბაკევი და შეიქმნა ნაბაკევის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ნაბაკევში.

კულაშის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფელი მიწაბოგირა და დაექვემდებარა მელაურის სასოფლო საბჭოს.

**თიანეთის რაიონში** — ზარიძეების სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ტუშურები, კახოიანები, ალაჭანი, წიკვლიანთკარი, ჯერვალიძეები და შეიქმნა ტუშურების სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ტუშურებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დაიწყო ხელმოწერა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

# უწყებებზე

**1969 წლისათვის**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქართულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, დადგენილებები საბჭოების მუშაობის შესახებ; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საპატიო წოდებების მინიჭების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის, აგრეთვე მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების შესახებ და სხვა საინფორმაციო ცნობები.

**„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“**

**გამოდის ყოველთვიურად**

**ხელმოწერის ფასი ერთი წლით —**

**1 მან. 80 კაპ.**

ხელმოწერა წარმოებს „სოიუზპეჩატის“ კონტორებში და მათ რწმუნებულებთან, მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე.